

ნანილას მიკროინტერპალური განყოფილება უკრაინულ ტრადიციულ მრავალხმიან შესრულებაში

შესავალი

უკრაინული ეთნიკური მრავალხმიანობა უკრაინული ტრადიციული მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფენომენია. მისი ტიპების მრავალფეროვნება (ჯგუფური მონოდია, სხვადასხვა ტიპის ჰეტეროფონია, სამხმიანი კანტი სიმღერები, განვითარებული მრავალხმიანობა და შუალედური ფორმები (კლასიფიკაცია ზო. მურზინა (2016)), რეგიონალური სტილები, კუთხეები განვითარებული მელოდიკით ყოველთვის აღაფრთოვანებდა მკვლევრებს. ყველაზე რთული და გამორჩეული მრავალხმიანი სიმღერების შესრულება გამოწვევად იქცა „ქალაქური ფოლკლორული ანსამბლებისთვის“ (ო. შევჩუკის ტერმინი, 2019 წ.), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფოლკლორიზმის წევრების რეპერტუარში, ალორძინების მოძრაობები ყოველთვის შედიოდა, როგორც შესრულების სტილის საუკეთესო ნიმუში. რითაც პოლიფონიურმა სიმღერამ ლირიკულ ჟანრებში მხატვრულ მწვერვალს მიაღწია. ამასთან, ეს თემა ერთდროულად საინტერესოა და რთულიც, ამიტომ მას სჭირდება შემდგომი განვითარება სხვადასხვა რაჟურსით.

უკრაინული მრავალხმიანი სიმღერები, როგორც რეგიონული სტილების შესწავლის კომპონენტი, ხშირად სამეცნიერო ინტერესის ობიექტი იყო. ამასთან, ისეთი მკვლევრები, როგორებიც არიან ლ. იაშჩენკო, ო. მურზინა, ე. ეფრემოვი, ო. შევჩუკი და სხვები, უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მრავალხმიანობას და მას ფენომენად მიიჩნევდნენ. 1952-60-იანი წლების სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ, რომელიც განახორციელა კიევის მუსიკალური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, გამოიცა მრავალხმიანი სიმღერების უდიდესი მუსიკალური კოლექცია „უკრაინის ხალხური მრავალხმიანობა“ (1963), რომელიც დღემდე ითვლება უკრაინული ხალხური მრავალხმიანი სიმღერების ძირითადი წყაროდ.

ამასთან, ყველას, ვისაც უცდია გამოფერა ან მრავალხმიანი სიმღერების შესრულება, იცის თითოეული ნაწილის ცალკეული მელოდიებისა და ტონების ამოცნობისა და იდენტიფიკაციის სირთულე, რომლებიც ერთმანეთთან ძალიან ახლოს, ზოგჯერ შერეული, შერწყმული ან გადახრილი არიან¹.

ჩემი კვლევის ინტერესის სფეროში, რომელიც ეხება სიმალის აკუსტიკურ გაზომვებს, ხალხური სიმღერების მიკრო-ინტერვალურ მახასიათებლებს (ყველაზე გავრცელებული ჟანრების მაგალითებზე უკრაინაში – ზამთრის და საქონილო ციკლის მიხედვით), მრავალხმიანი სიმღერებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეთნომუსიკოლოგიაში სიმალის აკუსტიკური გაზომვების გამოყენების მცდელობებს მრავალმა ცნობილმა მკვლევარმა მიმართა. მათ შორის არიან კ. შტუმფი, ე.მ. ჰორნბოსტელი და ო. ბრაჰამი, ნ. გლისტოპადოვი, კ.ლ. სიგერი, პ.ბარანოსკი და ე. იუსტევიჩი და სხვები. თანამედროვე მკვლევარებს შორის რ. ამბრაზევიჩიუსმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეთნომუსიკოლოგიის ამ დარგის განვითარებაში. გაზომვები და გამოთვლები გამოყენებულია უფრო ზუსტი და ობიექტური ტრანსკრიფციის შესაქმნელად, მუსიკალური აქტის თავისებურებების დადგენისთვის. წინა

¹ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, უკრაინელი ეთნომუსიკოლოგები ცდილობდნენ მრავალხმიანი სიმღერების ჩანერას მრავალხმიანი (ინდივიდუალური მიკროფონების მორგება) მეთოდით. ასეთი ჩანაწერების ინიციატორი იყო ი. კლიმენკო, კიევის ეთნომუსიკოლოგიის პრობლემების კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. ტექნიკურ აღჭურვილობა უზრუნველყო ო. კორობოვა.

საუკუნის უმეტეს კვლევებში, საზომი აღჭურვილობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთხმადიანი სიმღერების გაზომვა შეიძლებოდა. მრავალხმადიანი სიმღერების სიმალლის გაზომვა მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიის ხანაში გახდა შესაძლებელი. ამასთან, ასეთი კვლევების მეთოდოლოგია უნდა მოერგოს ყველა ეროვნული სტილის სპეციფიკას.

ამასთან, მრავალხმადიანობაში სიმალლის გაზომვას მივყავართ ზოგიერთ მეთოდოლოგიურ საკითხამდე. მუსიკალური ტექსტის ერთეულია ტონი, რომელსაც ტრანსკრიპციაში ერთი სიმბოლოთი, ერთი ნოტით გამოვხატავთ. აკუსტიკური გაზომვებისთვის საჭიროა კონკრეტული დროითი პერიოდის ტონის ადგილის შერჩევა, რათა დადგინდეს ზუსტი აბსოლუტური სიმალლე (ჰერცში). თავად ტონს აქვს დინამიური ხასიათი და დროთა განმავლობაში იცვლება. ტონის დინამიური პროცესების დასადგენად მივმართავთ ხმის სინთეზირებულ თეორიის ზოგიერთ ტერმინს. ალმპ პარამეტრების ნაკრები (ატაკა, დაშლა, შეკავება, გამოშვება — იხ. სურ. 1) ამომწურავად უმკლავდება ამ ამოცანას. ტონის ბუნებიდან გამომდინარე, თითოეულ პარამეტრს აქვს საკუთარი სიმალლის მნიშვნელობა. ეს ნიშნავს, რომ განსხვავებული (ახლო, მაგრამ განსხვავებული) სიმალლის მნიშვნელობები შესაძლებელია ცალკეული ტონის ცალკეულ სეგმენტებში (განსხვავებული აბსოლუტური სიმალლეები — იხ. სურ. 2). ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს შეკავების პარამეტრის სიმალლე, რომელშიც ტონი ყველაზე სტაბილურია და აღიქმება, როგორც მუსიკალური სიმალლე. უმარტივესი ამოცანაა განსაზღვრო ასეთი ტონების აბსოლუტური სიმალლე, რომელიც უდრის ერთ მარცვალს. მაგრამ არსებობს მრავალხმადიანი სიმღერების უამრავი მაგალითი განვითარებული მელოდიური ხაზებით, სადაც ერთ მარცვალზე გამღერებისას თანხმოვანი არ იკვეთება. ასეთ შემთხვევებში უფრო რთულდება ინდივიდუალური ტონის განსაზღვრის პრობლემა (სურ. 3).

კონკრეტული ტონის დადგენისას ჩნდება სხვადასხვა მსმენელის მიერ მუსიკალური ტექსტის აღქმის განსხვავების პრობლემა. ეს დამოკიდებულია ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, სმენის, ყურადღების უნარზე და ა.შ. რ. ამბრაზევიჩიუსი სხვადასხვა ტონის აღქმის ფსიქოაკუსტიკური განსაზღვრისათვის იყენებს ტერმინს შშმ (უბრალოდ შესამჩნევი განსხვავება). განსხვავებით სხვა მკვლევარებისაგან, რომლებიც შშმ-ს სიმალლის დიაპაზონს აღნიშნავენ 100-5000 ჰერცამდე, როგორც ინტერვალის დიაპაზონს 2-დან 9 ცენტამდე, რ. ამბრაზევიჩიუსი მიუთითებს, რომ პრაქტიკაში შშმ-ს ზომა გაცილებით მეტია, ვიდრე მითითებულია (Ambrazevičius, 2015, გვ. 59-60).

მრავალხმადიანი სიმღერების შესწავლისას, ტონის სიმალლის გაზომვისთვის ერთი ტონის სეგმენტების განსაზღვრის პროცესში დაისვა შემდეგი კითხვა: რა უნდა გავაკეთოთ სიმღერის იმ სეგმენტებთან, რომლებშიც ერთი ნოტაა (ხმა, რომელიც შეკავებისას ერთ ტონად აღიქმებოდა) ერთ ნაწილში ემთხვევა მეორე/სხვა ნაწილების განვითარებულ მელოდიას? პოლიფონიურ ფაქტურაში სიმალლის გაზომვის მეთოდი მოიცავს სეგმენტების ჰარმონიული (ვერტიკალური) ინტერვალებით გაზომვას (სურ. 4). პირველი საჭიროა ზუსტად განისაზღვროს ტონის აბსოლუტური სიმალლე, რომელიც სხვა ხმის მელოდიას იგრძელებდა, ხოლო მეორე ვარიანტია მისი განსაზღვრა ყოველ ჯერზე, როგორც ცალკეული ჰარმონიული ინტერვალის, სხვა ხმაში მელოდიური ხაზის ყველა ცვლილებით. გაზომვების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთი ხმის მელოდიური ხაზი ცვლილებისას, მეორე ხმაში, რომელშიც ტონი შენარჩუნებულია, ცვლილებები მაინც ხდება, მაგრამ მიკრო-ინტერვალის ფარგლებში, რაც შეუიარაღებელი ყურისთვის შეუმჩნეველი რჩება. შეიძლება იყოს სხვა ხმის მელოდიის პარალელური ხაზი მიკრო-ინტერვალის დიაპაზონში - 20 ცენტით² (სურ. 5-1, აუდიომაგ. 1), მოძრაობები მელოდიის შემდეგი ტონისკენ იმავე ხმაში,

² 20 ცენტი — მშს-ს (JND) დადგენილ მაჩვენებლებზე ორჯერ მეტია, მაგრამ ყურისთვის შეუმჩნეველია ისეთ ადგილებში, სადაც მელოდიური ცვლილებები ხდება სხვა ხმაში.

თანდათანობით ამალღება ან დადაბლებს (სურ. 5-2, 5-3), ან აბსოლუტური ტონის სიმალღის ცვლილება ინტონაციით, რათა ხმოვანი გახდეს უფრო კონსონანსი, სხვა ხმებთან ადაპტირებისთვის (სურ. 6, აუდიომაგ. 2). ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი ტონის ფარგლებში პროცესების ასეთი დეტალური გაზომვა საშუალებას გვაძლევს ტონის სიმალღეში ვიპოვოთ ალმბ-ზე (შეუმჩნეველი სხვაობა) ნაკლები მნიშვნელოვანი ცვლილებები.

მსგავსი ნიმუში ასევე შეგვიძლია განვხილოთ მრავალხმიანობის სხვადასხვა ტიპებში: ერთი ხმის მელიოდური ხაზი სხვა ხმის / სხვა ხმების გრძელი ტონის ფონზე. ასევე, იგივეს ვაწყდებით ჰეტეროფონიის მაგალითებში, სადაც ყველა მარცვალს აქვს საკუთარი ტონი თითოეულ ხმაში, მაგრამ ერთ-ერთი ხმა იმეორებს მას (როგორც ჩვენ აღვიქვამთ და ვაფიქსირებთ ტრანსკრიფციაში) იმავე სიმალღეზე.

მაგრამ ჩნდება კითხვა: წარმოადგენს თუ არა ეს პროცესები მხოლოდ ეთნიკური მუსიკის მახასიათებლებს, ან შეიძლება ეს იყოს რომელიმე, მათ შორის აკადემიური, ანსამბლური სიმღერის მახასიათებელი? ამის გასარკვევად, ჩვენ შევადარებთ უკრაინის ცენტრალური რეგიონიდან (პოლტავას რეგიონი, მდინარე დნეპრის მარჯვენა სანაპირო) ერთი და იმავე საშობაო სიმღერის ორ შესრულებას. ერთი ტრადიციის მატარებელთა, ხოლო მეორე ფოლკლორისტული მოძრაობის ცნობილი ანსამბლის „დრევოს“ შესრულებაა (სურ. 7, 8; აუდიომაგ. 3, 4). მიუხედავად იმისა, რომ ტრანსკრიფციებში ორივე სიმღერა ჰგავს ერთმანეთს, შესამჩნევი განსხვავებაა მიკრო-ინტერვალის მნიშვნელობებში. ტრადიციის მატარებელი ანსამბლის შესრულება აჩვენებს უფრო მეტ მოქნილობას და სიმალღებრივ მრავალფეროვნებას ერთი გრძელი ტონის შიგნით, მისი შენარჩუნების ფაზაში (პირველი ხარისხი მერყეობს 104 ცენტით), ხოლო ანსამბლ „დრევოს“ შემსრულებლები უფრო მეტ სტაბილურობას ავლენენ (პირველი ხარისხი იცვლება მხოლოდ 37 ცენტის ფარგლებში). შედეგად, დისონანსური ინტერვალები (ამ ტიპის ჰეტეროფონიისთვის დამახასიათებელი) უფრო მძაფრად და უხეშად ჟღერს „დრევოს“ შესრულებაში, ვიდრე ტრადიციის მატარებელთა შესრულებაში, მიუხედავად იმისა, რომ პირველად შესრულებაში ხმოვანი ჰეტეროფონიის ძლიერი ასოციაცია გვაქვს, რომელიც აქ უხეშ დისონანსურ ჟღერადობად განისაზღვრება. ასევე, ტრადიციის მატარებლები უფრო სწრაფად აღწევენ უნისონს, ვიდრე ქალაქელი შემსრულებლები (ეს უკანასკნელნი უფრო დიდხანს რჩებიან დამლის ფაზაში). ასეთი გარემოებები შეიძლება იყოს კომუნიკაციის პრინციპების, ანსამბლის შიგნით გუნდური მუშაობის ნიშანი: პირველ შემთხვევაში (ტრადიციის მატარებელი), ისინი ეძებენ უფრო სასიამოვნო ჟღერადობას ხმებს შორის, ცდილობენ ადაპტაციასა და ხმის შეწყობა ჯგუფის სხვა წევრებთან. მეორე შემთხვევაში (ქალაქური ანსამბლი) თითოეულის კონცენტრირება მის/საკუთარ ვოკალურ პარტიაზე, მკაფიო ინტონირების შენარჩუნებაზე, რაც იწვევს საერთო ბგერაში უხეში დისონანსის წარმოქმნას, უფრო უხეშის ვიდრე პირველ შესრულებაში.

დასკვნები

ხალხური სიმღერების სიმალღის აკუსტიკური გაზომვების ჩემი კვლევის თანახმად, რომელში გაანალიზებულია ორმოცდაათზე მეტი მრავალხმიანი სიმღერა, შეიძლება დავასკვნათ, რომ მულტი-ინტერვალების ცვლილების პროცესი მუდმივად იჩენს თავს, როგორც თანამშრომლობის რეაქცია და როგორც მუსიკალური საკომუნიკაციო მექანიზმი. ის მრავალხმიანი სიმღერების ანსამბლური შესრულების სპეციფიკური მახასიათებელია. ამ პროცესის სპეციფიკური განსხვავების განსაზღვრა რეგიონულ სტილებსა და ჟანრებში მოითხოვს ღრმა შესწავლას ამ მიმართულებით; სტატისტიკის, კლასიფიკაციისა და კატეგორიზაციის მეთოდების, ჟანრული და რეგიონთაშორისი შედარებითი კვლევების გამოყენებით, რათა შესაძლებელი გახდეს მრავალხმიანი შესრულებაში მიკრო-ინტერვალის ფენომენის, როგორც მუსიკალური ტექსტის სპეციალური კატეგო-

რიის განსაზღვრა. ეს ნაშრომი ეძღვნება მრავალხმიან სიმღერაში მიკრო-ინტერვალური ტონის შეწყობის არსებობას, მისი, როგორც ადრე ვერ აღმოჩენილი ფენომენის პრეზენტაციას და ახსნის მცდელობებს.

ამავდროულად, ნაშრომი ხსნის პერსპექტივებს შემდგომი შესწავლისთვის, მრავალხმიანი სიმღერის ევოლუციის მიმართულებით. საჭიროა გადაიხედოს ჩვენი პოზიცია A ჰეტეროფონიის, როგორც შეგნებულად დისონანსული ბგერის შესახებ. თუ მრავალხმიანობაში ხმათა შეწყობის ფენომენი დასტურდება სტატისტიკურად სხვადასხვა ჟანრში და სტილში, ჩვენ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ე.წ. არქაულ ჰეტეროფონიულ ბგერაში დისონანსი არ არის წარმოებულ, როგორც ასეთი უხეში ხმოვანების წარმოქმნის მიზნით. არამედ ის უნდა ჩაითვალოს კონსონანსური ხმოვანების შერჩევისა და ფორმირების ისტორიული ეტაპად, მიღებული ხმებს შორის მუდმივი შეწყობით. არსებობს შესაძლებლობა, რომ ტრადიციის მატარებლებს მრავალხმიანი მღერის ამ ისტორიულ ეტაპზე არ ჰქონდათ დასრულებული წარმოდგენები კონსონანსისა და დისონანსის შესახებ (როგორც ეს აკადემიურ პრაქტიკას აქვს). პირიქით, ისინი შეიძლება ძიების პროცესში იყვნენ. ჰეტეროფონიული ფაქტურის მქონე სიმღერებში ასეთი ძიებები ფიქსირდება პოლიფონიური სიმღერების ცალკეულ მიკრო-ინტერვალის სიმალის სტრუქტურებში.

უკრაინული ხალხური მრავალხმიანობის ასეთი რთული და მდიდარი ტრადიცია არა მხოლოდ დახვეწილ მოსმენას, კონცენტრაციას, პიროვნული შესრულების გამოცდილებას, არამედ მიუკერძოებელ ხედვასაც საჭიროებს. მკვლევრის ხედვა საკუთარი ტრადიციული მრავალხმიანობის „სტანდარტული“ ხმოვანების შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია მისი აკადემიური გამოცდილებით, მოითხოვს გადასინჯვას, ობიექტური მეთოდებით გადამოწმებას, განსაკუთრებით ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორცაა აკუსტიკური გაზომვა და გამოთვლა.

თარგმნა ბაია ყუყუნაძემ

აბრევიატურები

აღშპ (ADSR) – ატაკა, დაშლა, შენარჩუნება, გამოშვება;

ოშს (JND) – ოდნავ შესამჩნევი სხვაობა

აუდიომაგალითები

1. ზამთრის სიმღერა – *“Ой з-за гори, з-за кривої”* [კაჟის გორაკის უკნიდან] (სოფელი რივნე, მუროვანოკუურილოვეცის ოლქი, ვინუცია, პოდილა) აუდიოალბომი *“Над річкою Карайцем”*, track 1. Art-Veles, 2001.
2. საქორწილო სიმღერა – *“По той дічок понад ставочком”* [გუბურის ზემოთ, მეორე მხარეს] (სოფელი როზუმეკა, ოლექსანდრივკას ოლქი, კიროვოგრადი), ჩანერილი ო. მურზინას მიერ, 1987.
3. საშობაო სიმღერა – კოლიადა *“Дівко Галочко, чом гулять не йдеи”* [ახალგაზრდა გალოჩკო რატომ დარჩი სახლში?] (სოფელი ბობრიკი, ჰადიაჩის ოლქი, პოლტავა), აუდიოალბომი

Радуйся, земле... პოლტავას რეგიონის ტრადიციული საშობაო და საახალწლო კოლიადები, 2002.

4. საშობაო სიმღერა – კოლიადა *“Дівко Галочко, чом гулять не їдеш”* [ახალგაზრდა გალოჩკო რატომ დარჩი სახლში?], აუდიოალბომი „დრეკო, უკრაინული სიმღერები“, 1998.